ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან ასოცირება: უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარებისათვის

2019 წლის სექტემბრიდან განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი ახორციელებს პროექტს „ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან ასოცირება: უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარებისათვის". კვლევა ითვალისწინებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის რეკომენდაციის - "მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის" - შესასრულების დონის შესაფასებლად, შესაბამისი დოკუმენტაციის გამოთხოვას და დამუშავებას.

პროექტის ფარგლებში, 2019 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩართვლით, პარტნიორიული ურთიერთობა დამყარდა თბილისისა და რეგიონის უნივერსიტეტებთან; ჯამში პროექტში ჩაერთო 4 რეგიონი - სამცხე ჯავახეთში, კახეთში, სამეგრელოსა და აჭარაში, ხოლო საუნივერსიტეტო ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა სტუდენტმა.

ამ ეტაპზე, დაწყებულია პროექტის განხორციელების მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება კვლევა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის რეკომენდაციის - "მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის" - შესასრულების დონის შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით, 2020 წლის იანვრის თვეში, გამოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან.

კაბინეტური კვლევის მეთოდით, 2020 წლის თებერვალ-მარტის თვეებში, განხორციელდება დოკუმენტაციის დამუშავება და ანალიზი. ამასთან, შეიქმნება ონლაინ ფლატფორმა, რომლის მეშვეობითაც, უკუკავშირის პრინციპით, სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია კვლევის მიმდინარეობის შესახებ. პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია პარტნიორ უნივერსიტეტებში მეორე რაუნდის შეხვედრებიც, რაც მიზნად ისახავს კვლევაში ჩართული სტუდენტებისათვის კვლევის საბოლოო შედეგების გაცნობას, შესაბამისი სემინარებისა და ჯგუფური დისკუსიების ჩატარებას.